ოთხშაბათი, 21 ნოემბ. 1907 წ.

ისარი

წელიწადი პირველი № 257

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკა. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ფასდება 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

დღევანდელ ნომერთან ერთად რიგდება ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის განცხადება მამულების გაყიდვის შესახებ. (მარტო განცხადება ექვს ფურცელს შეიცავს). ვთხოვთ ცალკე ნომრების მყიდველებს, უეჭველად მოსთხოვონ განცხადების ფურცლები გამყიდველებს

მარიამ ივანეს ასული, ნინა თედორეს ასული, ივანე და გიორგი ჩელიძეები ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლის, მეორე—მამამთილის, მესამე და მეოხთე—დაუვიწყარ მამის

ალექსი სერგეის ძის ჩელიძისას,

რომელიც გარდაიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში, სოფელ მურაშკინში, 17 ნოემბერს.

მოსვენების, პანაშვიდის და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—439—1)

დ რია ალექსის ასული და პოდპოლკოვნიკი მიხეილ აბრამის ძე უთნელოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფას მამის, ხოლო მეორე—სიმამრის

ალექსი სერგეის ძის ჩელიძისას.

პანაშვიდი და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

ოლგა ალექსის ასული და ექიმი პავლე ალექსის ძე არდაზიანნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მამის, ხოლო მეორე—სიმამრის

ალექსი სერგეის ძის ჩელიძისას.

პანაშვიდები და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—444—1)

გამგობა **„ტფ სასტუმროების, ნომრების, ტრაქტირების და ღვინით მოვაჭრეთა დამხმარებელ საზოგადოებისა“** გულითადის მწუხარებით მოუწოდებს ზემოაღნიშნულ დარგთა მოვაჭრეებს თავიანთის დასწრებით პატივი სცენ ვერაგულად მოკლულის

შაქრო გიორგის ძე ლაფერაშვილისას

განსვენებას ოთხშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 9½ საათზე, მიხეილოვის საავადმყოფოდან კალოუბნის ეკლესიაში ხოლო იქიდან კი ავლაბრამდე გაცილებით. (1—436—1)

ხუთშაბათს, 22 ნოემბერს დილის 11 საათზე დანიშნულია **ძეგლის კურთხევა** ტრაგიკულად დაღუპულის

თომა გრიგორის ძის გრიგორიევის

საფლავზე, წმ. მამა-დავითის ეკლესიის გალავანში, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ და გარდაცვალებულისა **ელისაბედ გრიგორის ასული მალიევისა** შვილიშვილთაგან. (1—437—1)

მარტვილის მონასტრის კრებული ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ყოფილ საღვთისმეტყველო სემინარიის სემინარიელის

ეპისკოპოსის გრიგოლის (დადიანის)

სულის მოსახსენებლად დანიშნულია შაბათს 24 ნოემბრისთვის. (1—43—1)

მთავარი კომიტეტი **ტფ წვრილ ვაჭრთა პროფესიონალურ საზოგადოებისა** გულითადის მწუხარებით მოუწოდებს ტფილისის ვაჭრებს ესწრონენ გასვენებას ვერაგულად მოკლულის

შაქრო გიორგის ძის ლაფერაშვილისას

ოთხშაბათს, 21 ნოემბერს, დილის ათის ნახევარზედ მიხეილის საავადმყოფოდან კალოუბნის ეკლესიაზე. წირვის შემდეგ იქიდან ავლაბრამდე გაცილონ. (2—434—2)

ტფილისის სახალხო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა

ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, პირველი გასტროლი შესანიშნავ ევროპიელ არტისტ-ქალის **ოლიმპია ბორონატის** წარმოდგენილი იქნება

„ტრავიატა“

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა ვერდისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნები ოლიმ. ბორონატი, გორინა, პახომოვა; ბ-ნნი გრინევი, დეროზერტი, კუზმინი, მახინი, პავლოვსკი, სურდინი, უხოვი და სხვ.

კაპელმეისტერი: **გოლინკინი**. დასაწყისი 8 საათზე. ფასები ძველებულია.

ანონსი: 23 ნოემბერს ბებია-ქალთა ურთიერთ დამხმარ. საზოგადოების სასარგებლოდ—„დუბროვსკი“. 24 ნოემ. ბორონატის მონაწილეობით—„სევილიელი დალაქი“.—მზადდება დასადგმელად «ასე სთქვა მეფემ» და «ანნა კარენინა». (0—7)

ოთხშაბათს, ამ თვის 21 ს

ტფილისის საკრებულოს დარბაზში **გრ. როგაძიძე**

წაიკითხავს რუსულად ლექციას

„ეროვნების იდეა

ფილოსოფიურ იდეალიზმის შესედულებით“

ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს ერის ფილოსოფიურს განსაზღვრას.—უნივერსალიზმი და ინდივიდუალიზმი—უნივერსალიზმი გულისხმიერობს აბსტრაქტულ კაცობრიობას, ინდივიდუალიზმი.—აბსტრაქტულ ადამიანს—უნივერსალიზმი და ინდივიდუალიზმი უნდა შეთანხმდნენ პლატონის „იდეათა“ შემწეობით.—ერი არსებობს ისე, როგორც არსებობენ კაცობრიობა და ადამიანი.—ერის ცხოვრება გამოიხატება მის სულიერ შემოქმედებაში: სარწმუნოებასა, ფილოსოფიასა და ხელოვნებაში.—ერი არის იდეალური ელემენტი უნივერსალურ ორგანიზმის—კაცობრიობისა.—მ ოფლიო კულტურის შემოქმედება და შეგნება ამ კულტურისა შეიძლება მხოლოთ ეროვნულ შემოქმედების შემწეობით.

ლექცია დაიწყება დილის 11 საათზე.

ბილეთები ერთი მანეთიდან ათ შაურამდე და მოსწავლეებისთვის 25 კაპ. იყიდება საკრებულოს დარბაზის შვეიცართან. (3—3)

თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. **„მირისა“** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად ვასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

არომატ

საუკეთესო სარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ ◆:◆:◆:◆:◆ **25 ცალი 15 კაპ.**

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—3)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვა; ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რახიეზეი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—11)

ქ. ქუთაისში

ექიმი ბადრიძე

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და სადამოთი 4—5-ზე. პოლიციის ქ. ციციშვილის სახლი. (25—კვ.—13)

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—5.—50)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანის და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

ზ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას**. სპეციალური ექიმი **გულის და ნაწლავებისა**. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პრეს. № 36, სახ. ბავბანიძისა (25—წლ.

ექიმი

ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი № 92. (წ.ფ—00)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

ე დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ქ. ქუთაისში

ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიკარაძისა. (50—5.—15)

ექიმი

ივ. გ ო ბ ა ر თ ე ლ ი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პრეს. № 33. (25—392—22)

თვალის ექიმი

ზ. ვ ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და ს.ღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—345—15)

ქ ო ე ლ ა ვ ში

ექიმი

ნ. ზ. ბრეკლოვი,

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჰავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—8)

ქ. ქუთაისში

ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანის ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უპირველეს **ბროდ. ბიერნის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგეჭორის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—16)

ექიმი

ვ. ხ. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი

ი. ი. ბოკიელი

სპეციალისტი: **ვენერიული სიფილისის, კანის და ნერვების სისუსტის** ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5½—7½ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (25—406—11)

მედიცინის დოქტორი

ვ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი,

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—4)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პრეს. № 12, სახლი მდივნისა. (64)

კბილის ექიმი

ბალარჯაშვილი მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—6)

კბილის ექიმი

ნ ი ნ ო ო ბ ა ხ ი ლ ა ძ ე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25. (0—228)

ფურის, ცხვრის და ფილის ექიმი

ნ ა. ა ტ ე ნ ი ა ნ ც ი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს. შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—22)

ბ ო რ ბ ი

ხელ-ახლა გაიხსნა დაკეტილი

წიგნის მაღაზია

ა რ ჩ ვ ა ძ ი ს ა

მაღაზია ძველ ადგილას არის და ძველებურადვე ვაჭრობს. (4—ნ.—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობისაგან

ტფილისის სულით ავადმყოფთა თავშესაფარი ეძებს დასაქირავებლად 1 ენკენისთვიდან 1908 წ. 2 ან 3 გჯერდით მყოფს სახლს (არა ნაკლებ 28 ოთახისას) ორი ბაღით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თავშესაფარის გამგეს ექიმ მიხეილ გედევანიშვილს, ყოველ დღე 11—12 საათ. ყორღანოვის ქ. № 20. (438—1)

ს ოლომონ წივწივაძე ამით აცხადებს, რომ პირველ ნომარიდან **ბაიხსნა დუქანი**, რომელიც აქამდის, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო დაკეტილი იყო. დუქანი უფრო სუფთად და კარგად არის მოწყობილი.

ადრესი: პირველი ნაწილი, სატივო; სახლი მაკაროვისა. (4—410—2)

ტფილისი, 21 ნოემბერი.

ბოლოს მთავრობისაგანაც მოვისმინეთ პასუხი განაპირა ქვეყნების და არარუს ხალხების მოთხოვნაზე. საპარლამენტო ტრიბუნიდან პრემიერ მინისტრმაც გაგვიმარტა ის ვიწრო ნაციონალისტური ფილოსოფია, ის ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური პოლიტიკა, რომლით გაჟღენთილია და რომლის მომხრეა რუსის შავრაზმელობა.

ეს მოხდა 16 ნოემბრის სხდომაზე, როცა კამათი იყო მთავრობის დეკლარაციის გამო. პოლონელმა დმოვსკიმ სიტყვა წარმოსთქვა დეცენტრალიზაციის საჭიროების შესახებ. დეპუტატმა სთქვა მხოლოდ შემდეგი: მრავალეროვან დაუზარმაზარ რუსეთში მთავრობას არ შეუძლია ბიუროკრატიულს ცენტრალიზმზე დაეყრდნოს; სახელმწიფოს მართვის გასაადვილებლად საჭიროა ადგილობრივ ძალთა თვითმოქმედება, თვითმართველობა; ამ თვითმართველობაში თვით მთავრობა მოიპოვებს ძალას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმისათვისაო. ამის პასუხად სტოლიპინმა გამოაცხადა ბიუროკრატიის შეხედულება ეროვნულ საკითხზე. მთავრობაო, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, ამის წინააღმდეგი არ არისო პრინციპიალურად (რა ეხარჯება?!), მაგრამ უნდა აღვიარო, რომ „თვითმართველობის ის ძალა, რომელზედაც მთავრობა დაეყრდნობა, ყოველთვის ნაციონალური ძალა უნდა იყოს!“ ამ, ცოტა არ იყოს გაუგებარს, დევიზს სტოლიპინი ნათლად ხსნის შემდეგ სიტყვაში. ის ამბობს: „მეჩქარეთ შეუერთდით ნაციონალურის ელემენტთ რუსებს და დეცენტრალიზაცია ამის შემდეგ მოითხოვეთ... ჯერ დადექით ჩვენ თვალხედვის წერტილზე, ირწმუნეთ, რომ უმაღლესი სიკეთეა რუსის მოქალაქედ ყოფნა, ატარეთ რუსის მოქალაქის სახელი ისეთივე სიამაყით, როგორითაც ატარებდნენ რომაელნი რომაელის მოქალაქის სახელს და მაშინ მიიღებთ ყველა უფლებებს“.

სტოლიპინი პოლონელებს ეუბნება: რუსის მოქალაქედ ყოფნა უმაღლესი სიკეთეაო. მაგრამ ჯერ თვით რუსის ხალხს, რუსის შეგნებულ მოქალაქეს ჰკითხეთ: მიაჩნიათ თუ არა მათ ეს უმაღლეს სიკეთედ დღეს, დღევანდელ რუსეთის ყოფაში. დამონებული, დამშეული, დაჩაგრული, დატანჯული რუსის ხალხი პირდაპირ ამბობს ეს რამდენიმე წელი[illegible] რომ რუსის მოქალ[illegible] სამარ[illegible] დღევანდელ[illegible]. მაგრამ ამას თავი და[illegible] ვკითხოთ: პოლონელს ან სხვა არა-რუსს როგორ შეუძლია დღეს იამაყოს რუსის მოქალაქეობით? ჯერ ერთი, ის დღეს რუსეთის შვილი არ არის, ის თვალწუნებული გერია. თუ რუსიც ვერ ამაყობს დღეს რუსის მოქალაქის სახელით, რა სტიმული აიძულებს არა-რუსს სიამაყით ატაროს ეს სახელი? თუ შვილი უმადურია თავის ხვედრით,

როგორ გინდათ ათვალწინებული გერი იყოს კმაყოფილი და ბედნიერი? რომელ მოქალაქის სახელით ამაყობდა ის რომაელი, რომელსაც რომაელ მოქალაქის უფლებანი ჰქონდა მინიჭებული. არა რუსს-კი რუსეთში ის მცირე უფლებანიც არა აქვს, რომელით საცოდავი რუსის ხალხი სარგებლობს. წიგვართვეს ენა, არ გვაძლევენ საკუთარ სკოლას, გვართმევენ მიწა-წყალს, გვიზღუდავენ ისედაც მიკროსკოპიულს პოლიტიკურს უფლებას და ამავე დროს გვიბრძანებენ: იამაყეთ რუსის მოქალაქის სახელითაო! ეს საშინელი დაცინვაა; უარესიც—დაცინვა და მასხარად აგდება იმისი, ვინც ხელფეხ შებორკილი სდგას და ვისაც ღირსეულ პასუხის გაცემის ყოველი საშუალება წართმეული აქვს...

„ჯერ შეუერთდით მაგარის ცემენტით რუსეთსაო და მერე მოითხოვეთ უფლებებიო“. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ რუსეთის ბიუროკრატია თავის ბრმა პოლიტიკით სულ წინააღმდეგ მიმართულებას აძლევს არა-რუსთა მისწრაფებას. სადაა, რომელია ის ცემენტი, რომელმაც უნდა დაგვაკავშიროს რუსეთთან? კაცთმოძულების პოლიტიკის მეტი ჯერ არა უნახავთ-რა არც პოლონელებს და არც ბგერს სხვას. იმ დროს, როცა რუსეთში უმაღლეს მწვერვალამდე ავიდა შოვინიზმი, როცა მთელი პარტიები შესდგა, რომელნიც არა-რუსთა მოსპობას ქადაგებენ, მთავრობის წარმომადგენელი, ფანატიკოს-შოვინისტთა დაშოშმინების მაგიერ, საპარლამენტო ტრიბუნიდან ამხნევებს და ბანს აძლევს ვიწრო ნაციონალისტებს და იმავე დროს გვეუბნება—მჭიდროთ შეუერთდით რუსეთსაო! განა ასეთ მთავრობას შეუძლია გაიგოს, რით, რომელგვარის ცემენტით შეიძლება ხალხების შეერთება? განა შეუძლია გაიგოს, რომ თვით ამ ხალხების წარმომადგენელნი ამბობენ სწორედ იმ ცემენტის საჭიროებაზე, რომელიც სხვა და სხვა ერთ აერთებს და აკავშირებს, ჰქმნის ერთ და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეებათ? პილონელი დეპუტატიც სხვას არაფერს ამბობდა: მიგვიჩნიეთ ჩვენც შვილებათ, მოგვეცით ის უფლებანი, რომელიც რუსის ხალხს აქვს დღეს და რომელიც ხვალ უნდა მისცეთ, მოგვანიჭეთ თვითმოქმედების უფლება, დაგვიბრუნეთ საკუთარი სკოლა, ენა და მაშინ ნახავთ, რომ ჩვენ რუსეთის ხალხის, რუსეთის სახელმწიფოს ერთგულნი მოძმე და მოქალაქენი ვიქნებითო. აი, აქ არის ის ცემენტიც, რომელზედაც ოცნებობს სტოლიპინი და არა იქ, სადაც მას ჰგონია: ჯარი, პოლიცია, განსაკუთრებული წესები, ძალით გარუსება და ყოველ მხრივი შეზღუდვა ვერასოდეს ვერ აასრულებენ შემაერთებელ ცემენტის როლს! და სანამ ამას ვერ გაიგებს რუსის მთავრობა, რუსის შინაურ პოლიტიკის დღევანდელი გამგე- მესამე სათათბირო, მანამდის ტყუილია ყოველი ლაპარაკი შერიგებაზე და მჭიდროთ შეკავშირებაზე. რუსეთის ბიუროკრატია და მისი მომხრე—რუსის შავრაზმელობა—ამბობენ: ჯერ შეუკავშირდით მჭიდროთ რუსეთს, იამაყეთ რუსის მოქალაქის სახელით და მერე მოითხოვეთ უფლებანიო. ჩვენ-კი გვგონია, რომ სანამ გერი თანასწორუფლებობით არ იქნება აღჭურვილი, მანამდის ის ვერ შეუკავშირდება „შვილების“ სახელმწიფოს. ეს-კი მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა თვით „შვილები“, თვით რუსის ხალხი იქნება სახელმწიფოს გამგედ; იმ circulus viciosus-იდან გამოყვანა, რომელშიაც ბიუროკრატია ახრჩობს რუსებსაც და არა-რუსებსაც, შვილებსაც და გერებსაც შეუძლია მხოლოდ მომავალს სრულებით განახლებულსა და გადემოკრატებულს რუსეთს. სტოლიპინისა და მის მომხრეთაგან-კი იმის მეტს სიკეთეს ვერ გავიგონებთ, რაც 16 ნოემბრის სხდომაზე ვისმინეთ...

ახალი ამგავი

—:—

✦ **კოოპერატიული ამხანაგობა ნაძალადევში.** ნაძალადეველებმაც განიზრახეს კოოპერატიულ ამხანაგობის შედგენა. საქმის ინიციატორებს 18 ნოემბერს კრება ჰქონდათ და გადასწყვიტეს, მოელაპარაკნენ ამ უბნის მცხოვრებთ აღნიშნულ ორგანიზაციის მოწყობის საჭიროებაზე. მცხოვრებთა უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა და კიდეც შეუდგნენ საწევრო ფულის შეგროვებას. საწევრო ფული არ აღემატება 5 მან. ნაწერის დროს წევრმა უნდა შეიტანოს 1 მან., ხოლო ამხანაგობის მოქმედების დაწყებიდან დანარჩენი ფული. გამგეობის წევრნი უკვე აირჩიეს.

✦ **შეიხ-ულ-ისლამის დაკრძალვა.** გუშინ, 20 ნოემბერს, დაკრძალეს გვამი ამ სამი დღის წინად გადაცვალებულ ამიერ-კავკასიის შეიხ-ულ-ისლამისა. მაჰმადიანებმა და აგრეთვე სხვებმა დილიდანვე დაკეტეს სავაჭრო სახლები. აუარებელი ხალხი, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, მიაწყდა ვორონცოვის ქუჩას, საიდანაც ცხედარი უნდა გამოესვენებინათ მეჩეთში. 11 საათზე შეიკრიბნენ წარმომადგენელნი. მოვიდნენ გიმნაზიებში მოსწავლე მაჰმადიანები უფროსების თანხლებით, მაჰმადიანთა საქალაქო სკოლის მოსწავლენი, ეშმაკი ქუჩა ქურდულად გადიხედავდა ხოლმე გალავანს იქით და ჰხედავდა სასაფლაოზედ აღმოცენებულ ხეებს, წითელ ტყედ ქცეულს რომელთაც ამოჰფარებოდა მრისხანე სახის ხალხი. ყველანი შურის საძიებლად იყვნენ გამზადებულნი. ქუჩა მსწრაფლ თვალს არიდებდა ამ საოცარ სასაფლაოს და ქალაქისაკენ მიექანებოდა... იქ-კი გარეულ მტაცებელ მხეცს, თავისი უკბილო ხახა ხარბად დაეღო და ახალ-ახალ მსხვერპლებს ელოდებოდა. დრო-დროს მისდევდა. სისხლით გაჟღენთილ ფიცრებზე მკვდრები ეყარნენ. კმაყოფილი ქუჩა სამივე სასაფლაოსკენ მშვიდად მისცურავდა, აქ საჩქაროდ ურმებსა სცლიდა და კვლავ ბრუნდებოდა ახალ ტვირთის მოლოდინში. შებინდებისას-კი ქუჩა სასაფლაოს გარშემო მოიკეცავდა ხოლმე და ერთგულ ძაღლივით დილამდე ჰყარაულობდა...

ქალაქ გარედ გადაჭიმულიყო სამი სასაფლაო.

II

მეექუდე კლანგი, იმისი მეუღლე ევა და თეექსმეტის წლის ქალი მარო სცხოვრობდნენ უბნის სულ განაპირა ქოხში. იმის სახლიდან მთელი უდაბნო თვალ-წინ იშლებოდა და სამივე სასაფლაო ხელის გულივით მოსჩანდა, თითქოს ეს სასაფლაოები ქოხის ეზოში ყოფილიყვნენ. მარო ხშირად გამოვარდებოდა ხოლმე ქუჩაში და ელოდებოდა ქალაქიდან მომავალ ეტლებს. მოდიოდნენ შავი ცხენები, ეტლში იდო შავი კუბო, მას უკან მისდევდა დაღვრემილი შავი ხალხი; ყოველივე ეს ლამაზი იყო შავის სილამაზით. მძიმედ მიდიოდნენ დროგში შებმული ცხენები და მიჰქონდათ უბრალო ხის ფიცრებზედ არეულად დაყრილი ადამიანთა გვამები. მაროს ამ დროს თითქოს ესმოდა სასიამოვნო ციური ცხმები, თითქოს ჰხედავდა ჰაერში მომფრინავ ანგელოზთა გუნდს, რომელნიც არე-მარეს ტკბილის საკრავებით ათრობდნენ. აღტაცებული მარო ოთახში შემოვარდებოდა ხოლმე და ხმა მაღლა იძახდა:

— კვდებიან, კვდებიან, კვდებიან!

რა კარგი იყო, რომ სამივე სასაფლაო ასე ახლოს იყო! მარო ხშირად ჰხედავდა, თუ როგორ უახლოვდებოდა მათს ქოხს სამივე სასაფლაო... სამარეებიდან ამოდიოდნენ ადამიანები და უამბობდნენ მას იმ ქვეყნიურ სასურველ და ბედნიერ ცხოვრებაზედ. აქ-კი, ამ ქვეყნად მარო მხოლოდ ღარიბთა მწუხარებას, ტანჯვას ჰხედავდა და თავის-თავს სასოწარკვეთილი ეკითხებოდა: „რისთვისა ვარ მე აქ, რისთვის? ოჰ, რა სასიამოვნოა, რომ სამივე სასაფლაო ასე ახლოა.“

მკვირცხლი და მხიარული მარო სასაფლაოებისაკენ მიეშურებოდა. ძველ სასაფლაოსთან მაროს გული სიამოვნებით უფეთქდა... გალავანს იქით იგი ჰხედავდა ნაცნობ ძეგლებს, რომელნიც უღიმოდნენ მას და თავისკენ იწვევდნენ: „მოდი, მოდი“-ო და ამ საიდუმლო ძახილზე მაროც იღიმებოდა და ჩუმად ჩურჩულებდა: „მეც მოვალ, მეც მოვალ!“

ფიქრში გართული მარო, სასაფლაოს ქვაზედ ჩამომჯდარი, დედამიწას დასჩერებოდა და ყველა საფლავს სალამს აძლევდა: „გამარჯობა ძია ჰარტ, გამარჯობა ცუგრუმელა ბეტია, გამარჯობა ბებია გიტელ...“

გარეშემო საყვარელი ხალხი შემოჰხვეოდა. მოხუცნი გაახალგაზდებულნი, ყრმანი დავაკაცებულნი ყვნენ, ყველა უამბობდა მაროს, თუ რა ბედნიერად ჰგრძნობდა თავს, ვინც უკვე განშორდა დედა-მიწას, ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. მარო კი მწუხარედ შესჩიოდა, რომ მან ჯერ კიდევ უნდა იცოცხლოს, უნდა იტანჯოს, და ისინიც, ყველა ერთად, თანხმობის ნიშნად, თავებს აქნევდნენ და სიბრალულის კილოთი იმეორებდნენ: „მართლაც, ჯერ კიდევ უნდა იცოცხლო, უნდა იცოცხლო“...

და ყველანი სტიროდა მწუხარებისაგან, სიბრალულისაგან, რომ ასეთი ახალგაზდა, მშვენიერი არსება უნდა სცხოვრობდეს, იტანჯებოდეს ქვეყნად იმ დროს, როდესაც ასე კარგია ყოფნა აქ მაღლა, დვთის სასუფეველში; მათთან ერთად სტიროდა მაროც... და ზეცისკენ თვალებ აპყრობილი იმეორებდა: „წამიყვანე მეც შენთან... მიმიღე“...

მაროს თვალ-წინ დაჰფრინავდნენ უცხო ფრთოსანნი. გაცოცხლებულიყო ყველა სულდგმული, ოდესღაც ხალხის გულისათვის დახოცილი, და სასაფლაოს ძეგლებზედ შემომსხდარნი ტკბილად უგალობდნენ ზეცას. გალობდნენ იმაზედ, თუ რა კარგია მიწის ქვეშ ყოფნა, გალობდნენ იმაზედ, რომ მაღლა, მეშვიდე ცაზედ, ოქროს სავარძელში ბრძანდება სამარადისო და ალერსიანად ეუბნება ყველა მოსულთ: „წადი მარჯვნივ, ჩემს სასუფეველში: შენ საკმაოდ იტანჯე ქვეყნად!“

სტიროდა მარო, რომ ესოდენ მკვდართა შორის იგი ცოცხალი იყო, რომ ჯერ კიდევ დიდი დრო გაივლიდა, სანამ სამარადისო მიიხმობდა და ეტყოდა: „წადი, მარო, მარჯვნივ ჩემს საბრძანებელში: შენ საკმაოდ იტანჯე ქვეყნად!..“

ახალ სასაფლაოდან ხშირად ისმოდა ტკბილი საგალობლები... მიცვალებულთა სულს ავედრებდნენ სამარადისოს...

ფელეტონი

სამი სასაფლაო

ს. იუშგვიჩისა

I

ქალაქის განაპირას, გაშლილ მინდორზედ, გადაჭიმულიყო სამი სასაფლაო: ძველი, ახალი და მესამე.

ქალაქის ცხოვრება საიდუმლოებითა და შიშით იყო მოცული. განაპირა უბნებს ხშირად მოესმოდათ ხოლმე ქალაქში ატეხილი გრგვინვა, ცხოვრების ტალღებისაგან გამოწვეული, და მუდამ გამოურკვეველ შიშის მოლოდინში, ეს უბნები მშვიდ მინდვრებისკენ მიიწევდნენ, თითქოს სცდილობდნენ მყუდრო სასაფლაოებთან დაახლოებას...

ძველი სასაფლაო, რომელსაც ფართო ქისკარი და ქვის გალავანი ჰქონდა, მშვიდად გამოიყურებოდა. დიდი ხანია, რაც იქ აღარავის მარხავდნენ. აღარ ისმოდა მწარე ქვითინი, ტკბილი საგალობლები. ამ სასაფლაოზედ დადიოდნენ ეხლა მხოლოდ სუსტნი, მოხუცნი, წელში მოხრილნი, საბე დამჭკნარ-დაყვითლებულნი, დაღლილნი ოხვა-კვნესით, ცრემლთა დენისაგან თვალებ გამშრალნი, დადიოდნენ მძიმედ, გამოზომილის ნაბიჯით. ყველანი გულკეთილნი იყვნენ. როგორც ბებერები მინდორში ან უზრუნველი ბავშვები ტყეში, ისე ეს მოხუცნი მშვიდად ეფინებოდნენ ამ სასაფლაოს და იგიც იღებდა თავის სტუმრებს მხიარულის, გულკეთილის ღიმილით; ყველა და ყველაფერი მდუმარებდა: ადამიანები, ხნიერი ხეები, სურნელოვანი ბალახი, მიმხმარ ხავსისაგან გაყვითლებულ სამარის ქვები. ყველა სდუმდა...

იქვე ახლოს ახალი სასაფლაო-კი ნალვლიანად და მწუხარედ გამოიყურებოდა. მთელ არე-მარეს ეტყობოდა, რომ სიმშვიდე არა სუფევდა. ხშირად ისმოდა მწარე ქვითინის ხმა, გამოწვეული შიშისაგან, მწუხარებისაგან, სიბრალულისაგან... ხალხთა გოდებას უერთდებოდა ძეგლთა ყრუ ხმაურობა და ბალახთა ჩუმი ჩურჩული და ყველა ეს, საოცნებო ჰიმნად ქცეული, ცამდე აღწევდა, ჰგოდებდა და შესჩიოდა უზენაესს ქვეყნად ცხოვრებაზედ, სიცოცხლეზე, სიყვარულზე...

მესამე სასაფლაო სულ განმარტოებით მდებარეობდა. აქ, სადაც მარხავდნენ ჯერედ სულ ახალგაზდათ, ჯან-ღონით სავსეთ, სადაც ასაფლავებდნენ დღევანდელსა და გუშინდელს მსხვერპლებს, სადაც დედა-მიწა სამუდამოდ აყუჩებდა ღონიერსა და მრისხანე მაჯას—აქ გამეფებული იყო მრისხანე შურისძიება... არ მოსჩანდა მდიდრული ძეგლები, იყო მხოლოდ რიგზედ ჩამწკრივებული აგომიარებული მიწები. ეს იყო ძმური სამარე—წითელი სასაფლაოები. მწუხარება, წყევა-კრულვა, ცრემლი—ყველა ერთ მრისხანებად გადაქცეულიყო, და შურის საძიებლად გააფთრებული, ქარის სახით მრისხანედ დასტრიალებდა თავს მთელ სასაფლაოს. მთელი დღეები გაისმოდა ლომისებური ღმუილი და ეს ღმუილი, გრგვინავად ნაქცევი, თან და თან ძლიერდებოდა. ვიღაც ხარობდა ამ საოცარის ხმაურობით. ვიღაც მამაცის გული მხიარულად სძგერდა ამ ღმუილის გაგონებაზე და ჩუმად იძახდა: „იყვირე, იგრიალე, იგრგვინე მშვენიერო ლომო, იძახე“! ლომიც ყვიროდა, გრიალებდა, გრგვინავდა, ეძახდა ყველას. და გროვდებოდა ერთად სიძულვილი, მრისხანება, შურისძიება...

ეშმაკი ქუჩა ქურდულად გადიხედავდა ხოლმე გალავანს იქით და ჰხედავდა სასაფლაოზედ აღმოცენებულ ხეებს, წითელ ტყედ ქცეულს რომელთაც ამოჰფარებოდა მრისხანე სახის ხალხი. ყველანი შურის საძიებლად იყვნენ გამზადებულნი. ქუჩა მსწრაფლ თვალს არიდებდა ამ საოცარ სასაფლაოს და ქალაქისაკენ მიექანებოდა... იქ-კი გარეულ მტაცებელ მხეცს, თავისი უკბილო ხახა ხარბად დაეღო და ახალ-ახალ მსხვერპლებს ელოდებოდა. დრო-დროს მისდევდა. სისხლით გაჟღენთილ ფიცრებზე მკვდრები ეყარნენ. კმაყოფილი ქუჩა სამივე სასაფლაოსკენ მშვიდად მისცურავდა, აქ საჩქაროდ ურმებსა სცლიდა და კვლავ ბრუნდებოდა ახალ ტვირთის მოლოდინში. შებინდებისას-კი ქუჩა სასაფლაოს გარშემო მოიკეცავდა ხოლმე და ერთგულ ძაღლივით დილამდე ჰყარაულობდა...

ქალაქ გარედ გადაჭიმულიყო სამი სასაფლაო.

II

მეექუდე კლანგი, იმისი მეუღლე ევა და თეექსმეტის წლის ქალი მარო სცხოვრობდნენ უბნის სულ განაპირა ქოხში. იმის სახლიდან მთელი უდაბნო თვალ-წინ იშლებოდა და სამივე სასაფლაო ხელის გულივით მოსჩანდა, თითქოს ეს სასაფლაოები ქოხის ეზოში ყოფილიყვნენ. მარო ხშირად გამოვარდებოდა ხოლმე ქუჩაში და ელოდებოდა ქალაქიდან მომავალ ეტლებს. მოდიოდნენ შავი ცხენები, ეტლში იდო შავი კუბო, მას უკან მისდევდა დაღვრემილი შავი ხალხი; ყოველივე ეს ლამაზი იყო შავის სილამაზით. მძიმედ მიდიოდნენ დროგში შებმული ცხენები და მიჰქონდათ უბრალო ხის ფიცრებზედ

✦ **დამტკიცება ქალაქის თავად.** 19 ნოემბერს ნამესტნიკმა დაამტკიცა ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც თავ. ვ. ჩერქეზიშვილი არჩეულ იქმნა ტფილისის ქალაქის თავად.

✦ **კირიონ ეპისკოპოსის გადაყვანა.** როგორც „ზ.“-ს გაუგია, კოვნოს ეპისკოპოსი კირიონი ასტრახანში გადაჰყავთ.

✦ **„დაშნაკცუთიუნის“ პარტიის წევრთა საქმე.** 19 ნოემბერს ტფ. სამოსამართლო პალატაში დაიწყო განხილვა 20 დაშნაკცაკანისა, რომელთაც ჰბრალდებათ ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობის ქონა განჯაში. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები ტ. იოანისიანი და მ. კლანკი.

✦ **შემოწირულება.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „გთხოვ გამოაქვეყნოთ სია იმ პირთა, რომელთაც კეთილ ინებეს და გამომიგზავნეს სტამბოლიდან გადასაცემად ერთ გაჭირებულ ოჯახისთვის სოფ. გეგუთში. მოისევი (ბერძენია)—5 მან., ივ. ბეჟანიშვილი, სიმ. ფურგლიშვილი და პავლე ნასყიდოვი—სამ-სამი მანეთი; ს. ფილიშვილი, იაკობ ფილიშვილი, პავ. გოზალიშვილი, ლ. თუმანიშვილი, კ. მირაქოვი, ქსანტაპულო და ივ. სიდავა—თითო მანეთი; თომა გოზალიშვილი—50 კ. სულ 21 მ. 50 კ. წინანდელიანად 30 მან. 70 კ. კ. ბაქრაძე“

✦ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** პარასკევს, 23 ნოემბერს, საარტისტო საზოგადოების თეატრში, ყაზბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ, წარმოდგენილი იქნება როტკოვის პიესა „სკლეპი“ და აგრეთვე ვოდევილი. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს ქ-ნი იავორსკისა. ყაზბეგის ქალთა სკოლას, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, არავითარი მუდმივი წყარო არა აქვს და ინახება თითქმის კერძო შემოწირულებით. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება ორიოდე გროშს არ დაიშურებს და ამით დახმარებას გაუწევს ამ სიმპატიურ დაწესებულებას.

✦ **სომეხ მუშათა დამხმარებელი საზოგადოება.** რკინის გზის სომეხ მუშათა შორის დაბადებულა აზრი დააარსონ ერთიურთ დამხმარებელი საზოგადოება. ამ საქმის ინიციატორნი უკვე შესდგომიან წესდების შემუშავებას. საზოგადოებას აზრადა აქვს, წევრებად მიიღონ მხოლოდ მუშები და იზრუნოს წევრთა და მათ ოჯახთა კეთილ დღეობისათვის. წევრად შეუძლიან შევიდეს ყველანი, განურჩევლად პოლიტიკურის რწმენისა და მიმართულებისა.

✦ **ქალაქის საბჭო.** 19 ნოემბერს მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს კრება. საბჭომ ფეხზედ დგომით პატივი სცა ახლად გარდაცვალებულ შეიხ-ულ-ისლამის ხსოვნას, ხმოს ვურცელმა მოსთხოვა გამგეობას ცნობები მუხრანსკის ბიღის შესახებ. გამგეობის წევრმა ა. ხატისოვმა განაცხადა, რომ ქალაქის გამგეობა უკამისიოდ შესძლებს ამ საქმის დასრულებას, რადგან საბჭოს გამოცდილი ინჟენერები ჰყავსო. ამ ჟამად მასალას ვამზადებთ, ნაპირები შეძენილია და ახლო მომავლში შეუდგებით კიდეც ხიდის კეთებასაო. ხმ. ხუნუცმა განაცხადა: კარგი იქნება საქმე ისე მოეწყოს, რომ ქალაქის ახალმა ხუსნებმა ხარჯ-აღრიცხვის განხილვამდე მოახერხონ ყველა დაწესებულების გაცნობაო. თავმჯდომარემ აღუთქვა, რომ კვირაში ერთხელ მოიწვევს ხმოსნებს და გამგეობის წევრთა ხელმძღვანელობით გააცნობს დაწესებულებებს. შემდეგ საბჭო შეუდგა მიმდინარე საქმეების განხილვას. 250 მან. გადასდო ყოფილს მოსამსახურის ეიტნიკოვისთვის, 270 მანეთი ყოფილ მუშის ზახაროვისთვის. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა გამგეობის მოხსენების განხილვას აღმასრულებელ და დამზადებელ კომისიების რაოდენობის შესახებ. გამგეობის მოხსენებით უნდა არჩეულ იქნას ცამეტი დამზადებელი კომისია იურიდიული, სატეხნიკო, სამეურნეო და სხვ. კამათმა საბჭოში ამ მოხსენების გამო ღამის 12 საათამდე გასტანა. დასასრულ საბჭომ საჭიროდ სცნო ლომბარდისა, საუქციონო ზალისა და გამსესხებელ კასების კომისიები შეაერთოს ერთ სარევიზიო კომისიად, დანარჩენი კომისიები ისე იქნება შედგენილი, როგორც გამგეობის მოხსენებაშია. აღმასრულებელ კომისიებიდან საბჭომ არ მოისურვა მუხრანსკის ხიდის აღმშენებელ კომისიის არჩევა, რადგან გამგეობამ განაცხადა, რომ იგი თვით შესძლებს ხიდის აშენებას სატეხნიკო ძალების დახმარებით. კომისიების ინსტრუქციის პროექტის განხილვა 22 ნოემბრისათვის გადაიდო.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6 საათზე, პუშკინის ბიბლიოთეკის შენობაში (ალექსანდრეს ბაღი) ი. აბულაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „უკანონო ზმნათა ფორმები და მიმართულების მაჩვენებელნი“.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს მარტიროზ სარუხანოვი,

---

ᲐᲛᲘᲜᲐ

ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ჰბრალდება პოლიციელის კაზეევის მოკვლა. ორენბურგის გუბერნიაში ხუთის წლით ჰგზავნიან ბორჩალოს ელს არსენ ოჰანეზოვს. ტფ. საგენ.-გუბერნატოროში ცხოვრება აეკრძალა პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტისტუდენტს პეტრე ზურაბოვს. სავალდებულო დაღგენილებათა დარღვევისათვის ორი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს ᲗᲐ. ჩხინტაშვილს.

✦ მოკვეთილ ახალი ნომრები საუმაწვილო ჟურნალ ნაკადულისა № № 22 (მცირე წლოვანთათვის) და 11 (მოზრდილთათვის). შინაარსი ბირველისა: „კმარჯე თინა.)—ლექსი ბ. ახალსბირელისა, „დაუდგრომელი მარინე“—მეჯვრიხეველისა, „შვილ ბეწვა ქოსა“—(თარგმანი თათრულით) ო. ბაქრაძისა, „ძალდის შეხსიერება“—(თარგმანი) ედგენ ზიგნინაძისა, „ცის მნათობნი და ტედესკოში“—(თარგმანი) ა. საუკარელიძისა და ნარკვი.—ა) ბერი ბამოხტა და აჭა ბიტი. ნ. ნაკაშიძისა.—ბ) შარდა.—რებუსი.—დ) ადანა.

შინაარსი მეორისა: „ნადირობა“,—ლექსი აკაკისა, „რთველი“—მეჯვრიხეველისა, „ფიქრობდა მომავალზე“—მარიამ კარიუდისა, „ორი ბიტი“—(თარგმანი) ია.ამანისა, „ბემი მეკობრები“ თარგმანი ს. რომანიშვილისა, „ილია ჭავჭავაძის ხსოვნისა“—კიტა აბაშიძისა, „უბინაო“—(ზასოდამსკისა) ანეტასი, „მსწავლული და უსწავლელი“—(ანაკი, ნამბობი სპარს. ქართ. ოდა-მრეზ ხუციშვილის-მიერ).—ბ) კიტი და ეშმაკი—(ამისივე ნამბობი) დ. ბ—სა, „სამშობლო ქვეყანა“—ალ. ყიფშიძისა, „ოდა-მრეზ ხუციშვილი“—(ნეკროლოგი) დ. ბოტკაძისა, მითოლოგია. ტროადის ომი,—ა. მიქაბერიძისა. ნარკვი.

✦ ბასკადის ქუჩაზე 19 ნოემბერს მეოდენეს ფირუზ მარკაროვს შეუვარდა სამიშეარდებული კიტი, კასიდან 40 მან. კიტტეს და მიიმალნენ.

✦ ტფილისის მაზრის სოფლებ ვაშლოვანის, ერთისის, საკარეჯოს და ბორჩალოს მცხოვრებთ ამას წინად შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მიეტეთ სადმე სასეფლოდ სასნავ სოფელი და საბალახო ადგილები.

✦ აქალქალაქის მაზრის სოფელ ადასტანის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მათ სოფელში ქალების სასწავლებელი დააარსონ.

✦ ბორჩალოს მაზრის იაგდანის და კოგოლრის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან თესლის სასყიდლად სესხად მიეცეთ 2400 მანეთი.

✦ გვთხოვენ დაგბეჭდოთ: კვირას, 18 ნოემბერს, სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ვლადიმერ სოლომონის ძე მჭედლიშვილი, 18 წლისა, შაგგვრემანი, მაღალი ტანისა, წითელი ხალათი და გიმ-

---

ისმოდა სასიწარკვეთილი გლოვა-ტირილი... რისთვის ჰგოდებენ? ვიზედ ნაღვლობენ? რად მწუხარებენ? მაროს ვერ აეხსნა ეს, ვერ გამოეცნო...

III.

დილა ნათელი და თბილი იყო. ჰაერში ყვავ-ყორანთა ყავ-ყავი გაისმოდა. სამივე სასაფლაო მზის შუქზედ ოქროს ფრად ბრწყინავდა და თანაც თითქოს თავისკენ იწვევდა ყველას: „გამოეშურენით ჩვენსკენ, ეს არის დილა ეხლა დაიწყო, ესაა დილა ეხლა დაიწყო“!

პაპა ბეირმა ითხოვა, გარედ ქუჩაში, მზეზედ გაეყვანათ. ტანზედ თბილად აცვია. მხრებზედ წამოსხმული აქვს თბილი საბანი, კისერზედ შემოხვეული აქვს სქელი შარფი, ხოლო თავზედ ჩამოფხატული—ძველი ქუდი.

— მაშ გავიყვანოთ გარედ!—წარმოსთქვა კლანგმა და მაროს თვალით ანიშნა.

მარომ მოწიწებით მოჰხვია ბეირს მუხლებზედ ხელები და ფრთხილად ასწია...

კლანგმა მხრებში მოჰკიდა ბეირს ხელები და ქშინვა დაიწყო.

— ძლიერ დამძიმდი, ბეირ, ძლიერ... ოი, ოი! კარგად ვიცი, რისთვის მოგემატა სიმძიმე .. ამბობდა კლანგი.

ბეირი სდუმდა, როგორც ქვა ან ბერძენი. იმისი სახე წყნარი იყო. იგი თითქმის მუდამ მდუმარებდა, ხოლო როდესაც ლაპარაკობდა, ლაპარაკი მისი იყო მოკლე, მაგრამ ძლიერი და მშვენიერი... ასე ეგონა ყველას. არავინ იცოდა, საიდან იყო იგი; სად ან როგორ გაეტარებინა თვისი სიცოცხლე. იცოდნენ მხოლოდ, რომ იგი ჯოხზე დაბჯენილი მოვიდა აქ, ამ ქალაქის განაპირა უბანში და ჰპოვა თავ-შესაფარი მეეღლე კლანგის ოჯახში. ყველამ გადასწყვიტა, ალ-

ნაზიელის პალტო აცვია. ვინც ნახოს სადმე, გვაცნობოს ეტაფის ქუჩაზე. № 22. სახლი სულოანოვისა,

✦ 19 ნოემბერს სოლომონოვის და ოქრომჭედლების ქუჩების კუთხეში 4 შეიარადებული კაცი თავს დაეცა ავმტიქ ბეჟანოვს. უცნობებმა შემოხსნეს ქამარი, ჩამოჰგლიჯეს საათი და მიიმალნენ. პოლიციამ დააპატიმრა იოსებ პეტრუზოვი და იოსებ ლამკაროვი, რომელნიც გამოტყდნენ. ქამარი აღმოჩნდა ნაგი-ბაბა-ბეგოღლის, რომელიც დაპატიმრეს.

✦ მუხრანსკის ქუჩაზე პოლიციელებმა დაპატიმრეს ერთი კაცი, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლვერი. დაპატიმრებული ნაზარ ტუმასოვი საკომენდანტო სამმართველოში გაგზავნეს.

ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ 16 ნოემბერს, ოდესაში მოკლულ ალ. (საბა) კლდიაშვილის სამშობლოში ჩამოსვენების წლის თავზე, ქ. ქუთაისს, განსვენებულის საფლავზე, გადახდილ იქნმა პანაშვიდი. უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპულ ახალგაზდა მეცნიერისა და მოღვაწის ხსენებას დიდძალმა საზოგადოებამ პატივი სცა პანაშვიდზე დასწრებით.

✦ 18 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ქალაქის თავის მოადგილის ი. ფანცხავას თავმჯდომარეობით ქალაქის თეატრში მოხდა მოქალაქეთა კრება შანტაჟისტებთან საბრძოლველად საშუალების გამოსაძებნად. გამართლდა ჩვენი წინასწარმეტყველობა, რომ ამ კრებას ცოტა ხალხი დაესწრებოდა. 12 საათზე თეატრი ნახევრად ცარიელი იყო. თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, ისურვებთ თუ არა თათბირსაო. მიუხედავად ხალხის სიმცირისა, კრება შესდგა. ვ. ბეჟანეიშვილმა სთქვა: მე მინდა შევეკითხო გამგეობას: ჰქონდა თუ არა თათბირი შანტაჟისტების შემცირების შესახებ და თუ ჰქონდა რა დაასკვნა?

ი. ფანცხავამ უპასუხა: ქალაქის გამგეობა, რამდენადაც ძალა შესწევს, იხდის ფულს პოლიციის შესანახად, სხვაკი არაფერი შეუძლიან; თქვენ იმიტომ ხართ მოწვეულნი, რომ გამოარკვიოთ სენის წინააღმდეგი საშუალება. ითხოვთ გამოსთქვათ თქვენი აზრი.

მსურველი ლაპარაკისა არავინ არის. მცირე სიჩუმის შემდეგ სიტყვა ითხოვა ჩადუნელმა, რომელმაც სთქვა შემდეგი: „არ ვიცი, რას მივაწერო ჯერ ის, რომ ცოტა ხალხი გამოცხადდა კრებაზე, როცა შანტაჟისტების მოღვაწეობა ყველას ერთნაირად აწუხებს, და მერე ის, რომ შეკრებილნი სდუმან და თავის აზრის გამოთქმა ან არ უნდათ ან ეშინიანთ. საკითხი, რომელიც დღეს უნდა გავარკვიოთ, სერიოზულია და ყოველი მოქალაქე ვალდებულია ხელი შეუწყოს ქალაქის გამგეობის მიერ გამოწყობილ საქმეს. შანტაჟი, ცარცვა გლეჯა მთელ რუსეთშია გამეფებული, მაგრამ ჩვენში ამ საქმემ განსაკურებული ხასიათი მიიღო. ისიც საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ამ ერთი კვირის წინად გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეებს შესწამეს შანტაჟი. კარგად მესმის, რომ საზოგადოებას ერთი ხელის გაქნევით არ შეუძლიან შემუსროს შანტაჟი, მაგრამ შესაძლებელია შევამციროთ იგი, თუ შეერთებულის ძალით საშუალებას გამოვძებნით; წინააღმდეგ შემთხვევაში შანტაჟი გადამდებ სენსავით გავრცელდება და მთელ ქვეყანას მოედება. ვიდრე მე თითონ ვიტყოდე ჩემს აზრს, მინდა შევეხო გუბერნატორის წინადადებას, რომლითაც გვირჩევს მეეზოვები ვიყოლოთ. მეეზოვების დაქირავება მოქალაქეთ აუტანელ ხარჯს დაატეხავს თავზე, ეს საშუალება მალამოდ ვერ დაედება სენს. ტფილისი, სადაც მეეზოვები დიდი ხანია მოქმედებენ, ცხადი მაგალითია იმისი, რომ მეეზოვის ყოლა შანტაჟს ვერ მოსპობს და ამიტომ გუბერნატორის წინადადებას ვერ მივიღებთ. კრებას მოვაგონებ იმ დროს, როდესაც მთელ საქართველოში ავაზაკობა და ცარცვა-გლეჯა მოისპო. ამისი მიზეზი ხალხის დემოკრატიული შეკავშირება იყო; ხალხი კავშირებად დარაზმული ავაზაკობას ებრძოდა. ეხლა დრო შეიცვალა, ხალხი დაქსაქსულია, მაგრამ ისეთ გაჭირვებულ დროს, როგორსაც ეხლა განვიცდით, ქალაქის გამგეობას შეუძლიან მეთაურობა გასწიოს და შანტაჟთან საბრძოლველად მოქალაქენი შეაკავშიროს; საჭიროა მარტო ნება-რთვა.

მ. ლალიძე: თანხმა ვარ იმისი, რომ მოქალაქენი უნდა შეკავშირდნენ, მაგრამ სად არის მოქალაქე?! ჩვენ რომ მოქალაქენი ვყოფილიყავით, აქ ასე მცირე რიცხოვან კრებას არ გავმართავდით ჩვენი უბედურების მიზეზი სწორედ არა მოქალაქობრივობაა; ჩვენ მოქალაქენი კი არა, —მონები ვართ და ვისაც ძალა შესწევს, პოლიციაა იგი, დემოკრატია თუ შანტაჟისტი, ყველა კისერზე გვაზის, მონად გვხდის...

ვ. ბეჟანაშვილი: შეკავშირება კარგია, მაგრამ შესაძლებელია იგი ამ დროში, როცა 2—3 კაცს ერთად შეკრება არ შეუძლიან?! მე მგონი, ჩვენი ერთად ერთი ხსნა ის არის, რომ მცარცველებს გაუმკლავდეთ და მორჩილების მაგივრად, შევებრძოლოთ.

რამიშვილმა იგივე გაიმეორა, რაც ჩადუნელმა სთქვა. თან დასძინა, რომ იგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მხრით აცხადებს, რომ პარტია წინააღმდეგია ყოველნაირ ექსპროპრიაციისა, რაც არა ერთხელ გამოუცხადებია. მიუხედავად ამისა შანტაჟი პოლიტიკურ პარტიების სახელით ხდება.

ივ. ნიჟარაძე: ერთმა მოქალაქემ მიამბო შემდეგი: „როცა ხორცს ვყიდულობ, ერთ ნაწილს ხორცისას, „დავესკას“ ისეთს მაძლევენ, რომ მისი ჭამა არ შეიძლება. რამდენჯერმე მოვინდომე „დავესკის“ ყასაბთან დატოვება, მაგრამ მანნება არ მომცა. ბოლოს ერთხელ ჩემთვის გამოუსადეგარი „დავესკა“ ქუჩაში გადაეგდე. იმავე წამში გაჩნდა პოლიციელი, რომელმაც მაიძულა ხორცი ამეღო და სახლში წამეღოო“. ასეთ საქმეში პოლიცია საქმეს აკეთებს, და როცა გვხრცავენ, გვცარცავენ, პოლიცია არსადა სჩანს ან და უძლურია დახმარება გაგვიწიოს. ამნაირად მთავრობა ჩვენ ვერ გვშველის და თავს ჩვენ თითონ უნდა მოვუაროთ. გავყოთ ქალაქი უბნებად, უბნები კიდევ ათ ათ ოჯახად, ავირჩიოთ კაცები, მაგრამ ათის თავებს ნუ დავარქმევთ, თორემ გაიხსენებენ წარსულ წლების ამბებს და კეთილს არაფერს დაგვაყრიან; დავარქვათ ჩვენს თავი, როგორც სოფლელები სჩადიან და ჩვენ თავს ჩვენ თითონ მოუაროთ ქალაქის თვითმართებლობის ხელმძღვანელობით.

ამის შემდეგ კიდევ რამდენმაც ორატორმა ილაპარაკა და ბოლოს კრებამ ერთ ხმად მიიღო ჩადუნელის წინადება იმ პირობით, რომ ქალაქის გამგეობამ ნებართვა აიღოს გუბერნატორისაგან და მანვე მოაწყოს მოქალაქეთა ორგანიზაცია. ქალაქის უბნებად დასაყოფად აირჩიეს კომისია, რომელშიაც მოჰყვენ ნეს. ბარაბაძე, ივ. ალიბეგოვი ივ. კილაძე, რომ. მახარაძე და სვ. ჭეიშვილი.

პრესა

„წყაროს“ ჩვენი გაზეთის ანტიპოდია. „წყაროს“ ყოველთვის სასიამოვნოდ მიაჩნია ჩვენს გაზეთში ამონაკითხი გადაატრიალოს, კუდი გამოაბას და, როცა ამას ახერხებს, კმაყოფილებას ჰგრძნობს. გაზეთს „წყაროს“ ეს თვისება მემკვიდრეობით დაბადებიდანვე დაჰყვა, იგი ნაანდერძევია იმ სალიტერატურო მიმართულების მიერ, რომელმაც პირველად „კვალში“ გაიკეთა ბუდე. მას შემდეგ, რაც „კვალმა“ პირველად დაიწყო თავისი იერიშები, ბევრმა წყალმა ჩაიარა, სურვილი ანტიპოდობის გამოჩენისა ცოტაოდენის გამოკლებით განუწყვეტლივ იზრდებოდა პროგრესიულად და ყოველსავე ჩვენ მიერ ცნობილ ღირებულებას განუწყვეტლივ აყენებდა ყირამალა. ამ პროცესში თვალსაჩინო ცვლილებამ იჩინა თავი ამ ბოლო დროს, დაახლოვებით მაშინ, როცა „კვალის“ მემკვიდრეობა „წყაროს“ ერგო. ცვლილება არსებითია და ამიტომ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, მით უმეტეს, რომ შეიცვალა არა ყველასათვის ადვილად დასანახი გარეგანი ფორმა, არამედ თვით არსება,—თუ მთლად არა, ნაწილად მაინც,—და ამ მიზეზით იგი ჯერ-ჯერობით ყველასათვის ნათლად შეიძლება არა სჩანდეს. „წყაროს“ ჩვენს შესახებ კილო ოდნავაც არ შეუცვლია, იმისი ოპოზიციის მანერა იგივეა, რაც მისი სალიტერატურო წინაპრებისა, მაგრამ არსებითად კი ეხლა იგი სულ სხვას ლაპარაკობს.

ვისაც ჩვენი მწერლობისათვის თვალყური უდევნებია უკანასკნელ წლების განმავლობაში, იმას კარგად ეცოდინება, რა ადგილი ეჭირა ჩვენის და სოციალ-დემოკრატების აზრთა სხვა და სხვაობაში კამათს ეკონომიურ მონიზმის შესახებ; ეხსომება ისიც, რა სასტიკად იცავდნენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ეკონომიურ ფაქტორის ერთად-ერთ გადაჭრითს ხასიათს. ეხლა... ეხლა სულ სხვას ვხედავთ. ამას წინად გაზეთი „წყაროს“ „სულზედაც“ კი ლაპარაკობდა, იმის მნიშვნელობასაც კი სცნობდა ისტორიულ პროცესისთვის. ეხლა „წყაროს“ პუბლიცისტები ჩვენ სწორედ იმას გვიკიცინებენ, რასაც თითონ იცავდნენ და აღიარებდნენ თითქმის მთელი ათი წლის განმავლობაში. ეხლა წყაროს გვისაყვედურებს: „ჩვენ მოწინააღმდეგეთა აზრით ნამდვილი მარქსიზმი ის მძიმე

ბად ეს ასე უნდა მომხდარიყო.

— აი, ბეირ, კვლავ დილა!—მაღალის ხმით წარმოსთქვა კლანგმა:—კვლავ დილაა! მერე რისთვის, ბეირ?

ბეირმა თავი მაღლა ასწია, გაყვითლებული ხელი თოვლივით თეთრ წვერებზედ ჩამოისვა და დაფიქრებულის თვალებით მზეს მიაცქერდა...

მზის შუქისაგან გაბრწყინვებულ სასაფლაოს ციმციმი გაჰქონდა, მათ თავზედაკი გაისმოდა ყვავ-ყორანთა ყრანტალი: „ყვა—ყვა—ყვა!..“

— ჰხედავ, კლანგ!—მძიმედ წარმოსთქვა ბეირმა და თვალები მოხუჭა: ყველა ხე უნდა გათანაბრდეს... ეგ არაფერი, რომ ერთი მაღალია, მეორე დაბალი... ეგ არაფერია... მაღლები ძირს დაიწევენ, დაბლები-კი ამაღლდებიან... ყველა უნდა გათანასწორდეს...

— მაღლები ძირს დაიწევენ, დაბლები-კი ამაღლდებიან!—გაუგებრად იმეორებდა მაროო.

— მაშ ეგრე, გათანასწორდებიან! შენ ეგრე სთქვი, ბეირ? სწორედ? მე მაშ კმაყოფილი ვარ...—წაილაპარაკა კლანგმა, სასაფლაოებს მიმოავლო თვალი, ბეირს თავი დაუკრა და განშორდა.

მაროო მოხუც პაპას პატარა სკამით გვერდზედ მოუჯდა. მოხუცი ბეირი ღრმად ჩაფიქრებულიყო... რაზედ ჰფიქრობდა იგი? იგი ფიქრობდა სიკვდილზედ... მოხარული იყო, რომ მალე მოკვდებოდა და თავისუფლად, მოხერხებულად გაწვებოდა ფართო სამარეში და სიბრალულით აღიესებოდა მისი გული იმათ მიმართ, ვინც რჩება ამ ქვეყნად, კვლავ ტანჯვა-წამების განსაცდელად...

— შენთვის კარგია, პაპა, მე-კი დავრჩები... მე-კი ჯერ დიდხანს უნდა ვიცოცხლო...

მაროო დიდხანს ელოდა პასუხს. მოხუცი სდუმდა, თითქოს ჩასძინებოდა. გამოჩნდა ეტლები, ქუჩა გამოცოცხლდა, მო-

---

�ესა

„წყაროს“ ჩვენი გაზეთის ანტიპოდია. „წყაროს“ ყოველთვის სასიამოვნოდ მიაჩნია ჩვენს გაზეთში ამონაკითხი გადაატრიალოს, კუდი გამოაბას და, როცა ამას ახერხებს, კმაყოფილებას ჰგრძნობს. გაზეთს „წყაროს“ ეს თვისება მემკვიდრეობით დაბადებიდანვე დაჰყვა, იგი ნაანდერძევია იმ სალიტერატურო მიმართულების მიერ, რომელმაც პირველად „კვალში“ გაიკეთა ბუდე. მას შემდეგ, რაც „კვალმა“ პირველად დაიწყო თავისი იერიშები, ბევრმა წყალმა ჩაიარა, სურვილი ანტიპოდობის გამოჩენისა ცოტაოდენის გამოკლებით განუწყვეტლივ იზრდებოდა პროგრესიულად და ყოველსავე ჩვენ მიერ ცნობილ ღირებულებას განუწყვეტლივ აყენებდა ყირამალა. ამ პროცესში თვალსაჩინო ცვლილებამ იჩინა თავი ამ ბოლო დროს, დაახლოვებით მაშინ, როცა „კვალის“ მემკვიდრეობა „წყაროს“ ერგო. ცვლილება არსებითია და ამიტომ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, მით უმეტეს, რომ შეიცვალა არა ყველასათვის ადვილად დასანახი გარეგანი ფორმა, არამედ თვით არსება,—თუ მთლად არა, ნაწილად მაინც,—და ამ მიზეზით იგი ჯერ-ჯერობით ყველასათვის ნათლად შეიძლება არა სჩანდეს. „წყაროს“ ჩვენს შესახებ კილო ოდნავაც არ შეუცვლია, იმისი ოპოზიციის მანერა იგივეა, რაც მისი სალიტერატურო წინაპრებისა, მაგრამ არსებითად კი ეხლა იგი სულ სხვას ლაპარაკობს.

ვისაც ჩვენი მწერლობისათვის თვალყური უდევნებია უკანასკნელ წლების განმავლობაში, იმას კარგად ეცოდინება, რა ადგილი ეჭირა ჩვენის და სოციალ-დემოკრატების აზრთა სხვა და სხვაობაში კამათს ეკონომიურ მონიზმის შესახებ; ეხსომება ისიც, რა სასტიკად იცავდნენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ეკონომიურ ფაქტორის ერთად-ერთ გადაჭრითს ხასიათს. ეხლა... ეხლა სულ სხვას ვხედავთ. ამას წინად გაზეთი „წყაროს“ „სულზედაც“ კი ლაპარაკობდა, იმის მნიშვნელობასაც კი სცნობდა ისტორიულ პროცესისთვის. ეხლა „წყაროს“ პუბლიცისტები ჩვენ სწორედ იმას გვიკიცინებენ, რასაც თითონ იცავდნენ და აღიარებდნენ თითქმის მთელი ათი წლის განმავლობაში. ეხლა წყაროო გვისაყვედურებს: „ჩვენ მოწინააღმდეგეთა აზრით ნამდვილი მარქსიზმი ის მძიმე

ძღვრებაა, რომელიც ყველა საზოგადოებრივ ცვლილებათა ერთად-ერთ მიზეზად აღიარებს მხოლოდ და მარტოოდენ ეკონომიურ ფაქტორსო“. ჩვენებურ მარქსისტებისაგან ანუ „ყაყანებელ“ ჩვენ მიმართ მეტად საინტერესო ფაქტია. რა არის ნამდვილი მარქსიზმი და რა არის ყალბი მარქსიზმი—ამის შესახებ დავა თვით მარქსისტებისთვის მოგვინდია, რადგან მათ ჰგონიათ და არა ჩვენ, ვითომც გარეშე მარქსიზმისა არ იყოს ცხონება; ჩვენ კი ვიცით, რომ მარქსისტულს ლიტერატურაში, ევროპიულს თუ რუსეთში, მრავალი წინააღმდეგობა არსებობს, მრავალ ძირითად თეორიულ საკითხის შესახებ სახელოვანი მარქსისტებიც კი ხშირად ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრებს ჰქადაგებენ. ჩვენ გვაინტერესებს არა „ნამდვილ“ მარქსიზმის აღდგენა, არამედ ჩვენებურ მარქსისტების აზროვნება, ისინი კი უკანასკნელ დრომდე სწორედ ეკონომიურ ფაქტორის „მხოლოობითს და მარტოობითს“ მნიშვნელობას ჰლაღადებდნენ. ახლა, როგორც ვნახეთ, სულ სხვა საგალობელს ამბობენ... იქნება ეს უბრალო ენის ბორძიკი იყოს, იქნება ისევ თავის წინანდელ თეორიულ ვიწროობას დაუბრუნდნენ ჩვენი მარქსისტები, მაგრამ ისიც სიმპტომატიური მოვლენაა, რომ მათ ეხლა ეს ბორძიკი ემართებათ. სჩანს, სულ უქმად არ ჩაუვლია მათთვის ხანგრძლივი დუღილის პროცესს და მას მათს გონებაში უკვე საკმაოდ ძლიერი სკეპტიციზმის შთანასახი გაუჩენია.

საინტერესოა, რომ მარტო ეკონომიურ ფაქტორის შესახებ არა აქვთ შეყეული ეხლანდელ ქართველ მარქსისტებს წინანდელი ვიწრო, ცალხაზიანი აზრი. ეხლა ჩვენმა მარქსისტებმა ისიც იციან, მაგ., რომ ერი საზოგადოებრივი ერთეულია, რომ ამ ერთეულს სხვა და სხვა კულტურული საჭიროება აქვს, რომ ამ საჭიროებათა კმასაყოფელად საჭიროა ადგილობრივი კულტურული ეროვნული დაწესებულებანი და სხვა. მართალია, ამ ახალი შეხედულებისა თითქოს ჩვენს მარქსისტებს თითონვე ეთაკილებათ და ძალიან გაურბიან ამ საგანზე ლაპარაკს, მაგრამ ეს არაფერია... გაივლის დრო და დამის წყვდიადს მზე გააცისკროვნებს.

მკითხველი ჰხედავს, რომ „ცუდად“ მაინც არ ჩაუვლია ქართველ სოციალ-დემოკრატებთან კამათის ჩვენგან „თელილს“ ეკლიან „ვზას“. რა უყოთ, რომ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევთ მათ პირდაპირ და ხმა მაღლა აღიარონ თავისი ცვლილება! ამაზე დიდი საყვედური არ ეკუთვნით მათ. რა უყოთ, რომ ზოგჯერ ისევ წინანდელივით ჩვენი აზრების ყირამალა დაყენებას სცდილობენ ან უცნაურ კუდს აბამენ! ეს უბრალო ხარკია მემკვიდრეობით მიღებულის სალიტერატურო ქონებისა, ეს ჩვეულებად გადაქცეული სალიტერატურო მანერაა, დაფუკული აზრისაგანაც და გრძნობისაგანაც.

ვრ. რობაქიძის ლექცია

—:—

დღეს, 21 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ტფ. საკრებულოს („სობრანიეს“) დარბაზში გრ. რობაქიძე რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ეროვნების იდეა ფილოსოფიურ იდეალიზმის შეხედულებით“. ვბეჭდავთ ლექციის თეზისებს:

1. ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა ჰგულისხმობს ეროვნების ფილოსოფიურ განმარტებას.

2. ყველა თეორიები, რომელნიც ეროვნების განმარტებით უარჰყოფენ ეროვნებას, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: თეორია უნივერსალიზმისა და თეორია ინდივიდუალიზმისა. უნივერსალიზმი ეროვნების მაგივრ წინ აყენებს კაცობრიობას, ინდივიდუალიზმი კი—ადამიანს.

3. საბოლოო დასკვნა ორივე თეორიისა ერთი და იგივეა, განსხვავება მხოლოდ ელფერშია. მაგალითად: უნივერსალიზმი იწყებს კაცობრიობიდან და ათავებს ადამიანით (კაცობრიობა როგორც ადამიანი), ინდივიდუალიზმი კი იწყებს ადამიანიდან და ათავებს კაცობრიობით (ადამიანი როგორც კაცობრიობა).

4. საკითხს ვერც უნივერსალიზმი სწყვეტს და ვერც ინდივიდუალიზმი, ვინაიდან 3-რველი დამყარებულია აბსტრაქტულ კაცობრიობის ცნებაზე, მეორე

კი—აბსტრაქტულ ადამიანის ცნებაზე. რისამე ჭეშმარიტი განმარტება ჰგულისხმობს მის რეალურ ერთიანობის დამყარებას. ნამდვილად კი არც უნივერსალიზმისა და არც ინდივიდუალიზმის თეორიებით, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში გაჟღენთილ არიან მატერიალიზმით, არ შეიძლება არც კაცობრიობისა და არც ადამიანის რეალურ ერთიანობის დამყარება.

5. უნივერსალიზმი და ინდივიდუალიზმი სინტეტიურად უნდა შერიგებულ იქმნან პლატონის „იდეათა“ თეორიაში. პლატონის აზრით „იდეა“ არის ყველა ის, რაიც ჰქმნის იდეალურ ერთიანობას, რომლის შემწეობით შეიძლება ნივთთა და მოვლენათა რეალურ ერთიანობის დამყარება.

6. იდეალური ერთიანობა ყოველთვის არის მთლიანობა ერთიანობისა: ერთიანობა მრავლიანობისა და მრავლიანობა ერთიანობისა. ამ მოსაზრებით ყოველი ნივთი და მოვლენა შეიძლება წარმოვიდგინოთ ორგანიზმის ცნებაში; ორგანიზმის ელემენტი შეიძლება იქმნეს ნაწილიც და მთელიც: ნაწილი შედარებით უფრო ვრცელ ელემენტთან და მთელი შედარებით ნაკლებ ვრცელ ელემენტთან, მაგალითად: საფრანგეთი შედარებით კოლექტივურ ერთეულთან—კაცობრიობასთან არის მისი ინდივიდუალური ნაწილი და შედარებით ინდივიდუალურ ელემენტებთან—ფრანგებთან არის მთელი. ამრიგად, ეროვნება არსებობს ისევე, როგორც კაცობრიობა და ადამიანი.

7. ეროვნების ცხოვრება გამოისახება მის სულიერ შემოქმედებაში: რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება. სულიერი შემოქმედება ეროვნებისა არის გამოსახულება უნივერსალურ გონებისა, ლოგოსისა, პირველდელ სიტყვისა. ადამიანის გონება განხორციელდების აზრში, აზრი კი იბადება ენაში. ამ „რეალურ გონებაში“, სოლოვიოვის სიტყვით.

8. ამ რიგად, ეროვნება არის უნივერსალურ ორგანიზმის—კაცობრიობის იდეალური ელემენტი.

9. შემოქმედება და შეთვისება მსოფლიო კულტურისა შეიძლება გამოისახოს მხოლოდ ინდივიდუალურად, ეროვნულ ფორმებში.

წერილი ტომსკიდან

(გან ხადება გენ.-გუბერნატორისა სტუდენტებისადმი.—გაფიცვა ორსავე მაღალ სასწავლებელში).

სატეხნოლოგო ინსტიტუტში 20 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტი პოლიციამ ხელზე დაიხვია. 20 ოქტომბრიდან გამალებული სჩხრეკს პოლიცია სტუდენტების ბინებს, ვითომდა ექსპროპრიატორების საპოვნელად, ნამდვილად კი—„კრამოლნიკების“ აღმოსაჩენად. 26 ოქტომბერს ადმინისტრაციის მიერ დროებით შეწყვეტილი სწავლა ინსტიტუტში კვლავ განახლდა.

ტომსკის გენ.-გუბერნატორი ნოლკინი არ დაჰკმაყოფილდა ოთხის დღით 115 სტუდენტის დაპატიმრებას. 1 ნოემბერს გამოუცხადა სასჯელი ყველას იმათ, ვინც 20 ოქტომბერს ინსტიტუტში კრებას დაესწრო. „მე ტომსკის გენერალ-გუბერნატორმა—სწერს იგი:—ვიხელმძღვანელე რა ჩემდა ბოძებულ უფლებებით და აგრეთვე სამინისტროს მიერ გამოცემულ ინსტრუქციებით, ვაცხადებ, რომ ექსპროპრიაციის დროს მომხდარი სტუდენტთა კრება სახელით ლეგალური იყო, ფაქტიურად კი სტუდ. რევოლიუციონერთა ფრაქციის მიერ მოწვეული, რომელსაც ყველა პროფესიის ხალხი დასწრებია. ამისათვის ამ მიტინგზე დამსწრეთ, რომელთა რიცხვი 800-ს აღემატება, ვყოფ სამ ჯგუფად და თვითეულ ჯგუფს შემდეგ სასჯელს ვუსაჯებ: პირველ ჯგუფს სატეხ. ინსტ. სტუდენტებს, ნაცვლად 3 დღით დატუსაღებისა, ვაჯარიმებ თითო მანეთით, ხოლო სატეხნ. ინსტ. ორ სტუდენტს აუდიტორიის ამღებთ და მიტინგის გამმართველთ, ნაცვლად სამის კვირით დატუსაღებისა, 3 ჯარიმებ თითოს 50 მანეთით. მეორე ჯგუფის ყველა მაღალ სასწავლებლის სტუდენტებს, 6 დღით ციხეში ჩასმის ნაცვლად, 5 მანეთით ვაჯარიმებ თითოს. მესამე ჯგუფს გარეშე პირებს 55 კაცს, ორის კვირის დატუსაღების ნაცვლად, ვაჯარიმებ 25 მანეთით თითოს. 12 კაცს ერთი თვით, ხოლო 10 კაცს სამი თვით ციხეში ჯდომით ვსჯი. მესამე ჯგუფიდან რამოდენიმე პირს ცნობების შეკრების შემდეგ ტომსკის გუბერნიიდან გავაძევებო.“

ამ განცხადების გამოფენისათანავე როგორც სატეხ. ინსტიტუტში, ისე უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა კრებები. საკითხმა—პასუხის გებაში მიცემულმა სტუდენტებმა ჯარიმა გადიხადონ თუ ციხეში ჩასხდნენ—ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბოლოს უნივერსიტეტში მენშევიკები მიემხრნენ ს.-რევოლიუციონერების რეზოლიუციას და ამ გვარად ხმის უმეტესობით გავიდა შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გენერალ-გუბერნატორი გაკადნიერდა და ნაცვლად დატუსაღებისა დააჯარიმა სტუდენტები, რითაც მოისურვა მათი დაშინება, აუცილებელ მოვალეობად ვრაცხთ მთელ სტუდენტობისათვის ამ აქტს შესაფერი რევოლიუციონური პასუხი გავცეთ, ამიტომ ვადგენთ: ა) პასუხის გებაში მიცემული სტუდენტები უნდა ჩასხდნენ ციხეში, ჯარიმა არ უნდა გადიხადონ; ვინც ამ დადგენილებას არ დაემორჩილება, მას ბოიკოტი გამოეცხადოს; ბ) დანარჩენი სტუდენტობა, ვინც თავისუფალია პასუხის გებისაგან, დაპატიმრებულ სტუდენტთა თვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად, აცხადებს სამის დღით სრულ გაფიცვას და გ) შემოწირულება რევოლიუციონურ ბრძოლის გასაძლიერებლად მიიღება განსაკუთრებულ კომისიაშიო“. ასეთივე რეზოლიუცია გამოიტანეს სატეხნოლოგო ინსტიტუტში.

ამ დადგენილებისათვის ნოლკინს 1 ნოემბერსვე მოეკრა ყური. საჩქაროდ რექტორი მიეხმო თავისთან და გადაეცა, თითო მანეთის მაგივრად ორ-ორი შაური შემოიტანონ სტუდენტებმა, ხოლოდ ციხეში ნუ ჩასხდებიანო. რამდენად მართალია ეს, ჯერ არ ვიცით, მხოლოდ ცხადია ყველას დატუსაღებას ვერ ახერხებს. ნოლკინმა ალბად ჯავრის ამოსაყრელად წინა დღეს ნება დართული წარმოდგენა ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ აღკრძალა. ამ გვარად 2 ნოემბერს წარმოდგენა არ შესდგა, რის გამოც ბევრ სტუდენტს უნივერსიტეტიდან დათხოვნა მოელის, რადგან სწავლის ფული არ შეუტანია.

20 ოქტომბერს ინსტიტუტში მომხდარ ინციდენტის გამო (ექსპროპრიატორების თავდასხმა) 3 ნოემბერს დირექტორმა ზუბაშევმა სამსახურს თავი გაანება. ამან სტუდენტობა ძლიერ დაანაღვლიანა, რადგან იგი დამცველი იყო სტუდენტთა ინტერესებისა.

6 ნოემბერს ორსავე მაღალ სასწავლებელში სწავლა განახლდა. **ბ. ფ—ძე.**

ილია ჭავჭავაძის ფონდი

—

ამასთან გიგზავნით შვიდს მანეთს, შეკრებილს დ. ცაგერს 28 ოქტომბერს პურის ცხობის დროს ჰრელ საუბრისა გამო, და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ კუთვნილებისამებრ „ილიას ფონდის“ გასაძლიერებლად. **ცაგერელი.**

—

ამასთან გიგზავნით ილიას ფონდის გასაძლიერებლად 20 მანეთს, რომელიც შემოვიდა 30 ენკენისთვეს დ. ცაგერში წარმოდგენიდან. თუმცა წერილში იყო მოხსენებული 25 მანეთი დარჩენილი შემოსავალიდან, მაგრამ იქიდან ხუთი მანეთი იქმნა წაღებული იმპერატრიცა მარიამის დაწესებულების სასარგებლოდ.

ცაგერის სკოლის ზედამხედველი
ვარლამ ბერდოვანი.

—

დიდებულ მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ გიგზავნით 15 მანეთს; თუმანს ჩემის დაღვიწყარ დის თამარ (თაფლოს) სახელით, რომელიც ვერაგულის სროლის უდანაშაულო მსხვერპლი გახდა შარშან აგვისტოში, და ხუთ მანეთს ჩემის მხრივ. ყოველი ქართველი, ვისაც ეროვნული გრძნობა ცოტათი მაინც ულღვიოს გულში, მოვალეა თავის წვლილი არ დაიშუროს იმ ეროვნულ ფონდისათვის, რომელიც ნაყოფიერ ლამპრად უნდა გაუხდეს ჩვენ მრავალტანჯულ და მტკივან მგონის სინდისით შეღებილ სამშობლო მხარეს, რომლის შვილები ილიას სახელით მოფენილ სინათლეზე მაინც გაარჩევენ თავიანთ მოჭირნახულე მამას.

ვანო ბაბაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

—:—

ქუთაისი. წარსულ კვირას ქუთაისის სცენას გასტროლერები ეწვივნენ. 11 ამ თვეს ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგინეს ძველი მელოდრამა «გაცარცული ფოსტა». არ ვიცით, რად აირჩია აბაშიძემ ეს მელოდრამა, მით უფრო, რომ მას ამ პიესაში თვალსაჩინო როლიც კი არა აქვს? პიესის აღსრულებაზედ ბევრი არა ითქმის რა. საზოგადოება ბევრს რამეს მოელოდა აბაშიძის გასტროლიდან, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. საზოგადოდ, წარმოდგენამ ქეიფიანად ჩაიარა, ისე ქეიფიანად, რომ მეტის წარმოდგენა აღარ ეიძლებოდა. ბ-ნ გასტროლიორს ერთი რამ უნდა უსაყვედუროთ: საზოგადოების ასე აბეჩად აგდება და არა ნორმალურს მდგომარეობაში სცენაზე გამოსვლა როდი შეეკვეხის ისეთს დამსახურებულს არტისტს, როგორც ბ-ნი აბაშიძეა.

საძაგელოდ კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები ქ-ნთ დავითაშვილმა, ივანიძემ, ურბნელმა, ბ-ნთ ბალანიავამ, თუთბერიძემ, ზარდალაშვილმა, შოთაძემ.

14 ნოემბერს ტასო აბაშიძის მოწაფეებით ხარძოადგინეს ზუდერმანის პიესა „ბეჭედლასთან ბრძოლა“. ტასო აბაშიძემ გაუსიერულის თამაშით, პატარა როლს ფსიქოლოგიის თვალსათლივ გადმოცემით, ბუსებრივი თამაშობით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

ტასო აბაშიძეს ხელს უწყობდნენ ქ-ნი დავითაშვილი, ჯავახიშვილი, ივანიძე და უ.ბნელი. ბ-ნი ძალიკაშვილმა საგანგებით გადმოგვკა ძოხუც გალკელანის ტიპი. შოთაძე ამ სადამოს კარგად მოერია თავის როლს. თუმცა ხარმოდგენის წინ გამოაცხადეს, რომ რისარდ კენლერს ბ-ნი ზარდალაშვილი მოუმზადებლად ითამაშებსო, მაგრამ მსახიობს ძაინც არა უმავდარა.

ორიოდე შენიშვნა ბ-ნ რეჟისორს: დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ენის სიფაქიზეს, ხშირად ქართულს სიტყვებს რუსულის კავმირებით აერთებენ. ამას გარდა კარგი იქნება, რომ ტანსაცმელსაც მეტი ყურადღება მიექცეს: მაგ., პარინელ ეიჭებს ჩვენებური ჩუსტები და ამ დროის ხალათები აცვიათ, ხოლო ტყვეში საყაჩაღოდ წასულ კაცს—ფრაკი, ძეგ სწორედ შამინ, როცა ზოგიერთ ჩვენს არტისტს ფრაკი სალოდნელიც კი არ ეცურბეა, არა თუ საჩაღოების დროს.

ქუთაისს ინტელიგენციას გასტროლებიც კი არ იზიდავს. **არ. ავალიშვილი.**

რუსეთი

—:—

✦ დეპუტაცია ცარსკოე სელოში. სახ. სათათბირის შემარჯვენე დეპუტატები ამბირებენ ცარსკოე სელოში გაგზავნონ დეპუტაცია. დეპუტაციაში 12 კაცია იქნება ვიატკისა და სამარის გუბერნიიდან, 6 მდგომი და 6 დეპუტატიც განმარა ქალაქებიდან. მეთაურად ეფოდებათ ბობრინსკი და თავადი გოდგონსკი. შურიშკევიჩმა ბევრი იხვეწა თურმე, მაგრამ უმრავლესობამ მისი დეპუტაციაში კარგეა

ჭეო.

✦ მეორე სათათბიროს ს. დემოკრატების ფრაქციის საქმე როგორც გაზეთ „სეგოდნიას“ შეუტყვია, მეორე სათათბიროს ს. დემოკრატიულ ფრაქციის საქმის გარჩევა არა ჩვეულებრივი იქნება სასამართლოს ისტორიაში. საქმის მდგომარეობა ამ დროებით ამნაირია: ეკუდა ბრალდებულები კანიუოფებიან სამ ჯგუფად. პირველი ჯგუფი—დეპუტატად ნამეორეები, მეორე—მებრძოდ რაზმის წევრები და მესამე—შვიდი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელთაც განაცხადეს, რომ ს.-დემოკრატებთან საერთო არა გვაქვს რაო. თითოეულმა ჯგუფმა მოითხოვა თავისს რწმენის და გვარად მესაფერი დამცველი; პირველმა ორმა ჯგუფმა ს.-დემოკრატების თანამგრძნობნი, 7-ის კი კადეტები: შერგუნენტი, ტესლენკო, მაკლაკოვი და სხ.

ბრალდებულები ძლიერ შეგიწრეებულ მდგომარეობაში არიან ჩაუნენებული იმით, რომ მხოლოდ ორ-ორი დამცველის ეოდის ნება მისცეს. ისინი კი მეტს ოხოულობდნენ. საქმის გარჩევის დროს შეუშვებენ მხოლოდ ერთს ნაცნობს ან ნათესავს ბრალდებულისას. დამცველებიც შეგიწრეებენ იმით, რომ საქმის გაჭიანურების ნებას არ აძლევენ. ასეთი უფლება დიდ პროცესების დროს დამცველთ ეოველთვის ჰქონდათ ხოლმე.

✦ საჩივრები დურნოვოზე. როგორც „სტოლიპნი დისტოკი“ იუწყება, უმართ. სენატის პირველ დეპარტამენტში 700 მეტი თხოვნა შეუტანიათ, სადაც მინისტრად ნამეოფს დურნოვოს უჩივიან: 1905 წელს გადაგვასახლა ჩრდილო გუბერნიებში და დიდი ზარალი მოგვაყენა. მართალია სენატს მათი გადასახლების გარჩევის შემდეგ ეკვალნი უდანაშაულად ეცვლია. ეკვალ საჩივრის სანაცვლოდ ჯამი 800 ათას მანეთს უდრის. ეს ფული დურნოვომ უნდა გადაიხადოს.

✦ ათას ვაგონ ქვა-ნახშირის მოპარვა გზათა სამინისტროს ცნობა მოსდია 1000 ვაგონი ქვა-ნახშირის დაკარგვის შესახებ. ქვა ნახშირი ზაბაიკალის გზის სად. „გორზია“-დან უნდა გაეგზავნათ, მაგრამ ნახშირის მაგივრად მხოლოდ დოკუმენტები გაუგზავნიათ და ანკარაშიც, ვისაც ერგებოდა, გაუსწორებიათ. ამ საეჭვოდ ოპერაციის შემდეგ ნახშირი დიდ ფასებში გაუყიდიათ. ამ ახალ ნახშირის მანამას 250 ათას მანეთად აფასებენ.

✦ ვლადივოსტოკის აჯანყების საქმე. სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე აჯანყებულ სალდათებისა და გადაუწყვიტა: 20-ს—დახვრეტა, 34-ს—კატორგა, 88-ს—ტუსაღთა კახეოფიდება, 53-ს—გამასწორებელი ბატალიონი, 2 ს—სამხედრო სამტიმრო, 5—გამართლდა. ერთ კაცს, რომელიც აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას, წამოხარჩობა გადაუწყვიტეს.

✦ მღელვარება უნივერსიტეტში. კიევის უნივერსიტეტში ჯერაც არ გათავებულა მდგომარეობა. 19 ნოემბერს დექანების კითხვა დაიწყო, მაგრამ სტუდენტებმა აუდიტორიაში ასტეხეს და კითხვა შეაწყვეტინეს. საქმეში ჯარი წაიყვანეს.

✦ რევიზია. იმ სასუდიერო სასწავლებლების სარეგზიოდ, სადაც არეულობამ იჩინა თავი, სინოდი კეზეინის ცნობილ გოსტორგოვსა და ტახომიროვს.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.

განცხადება

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისა

ხსენებულ ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით, ბანკის სადგომში, ტფილისს (ფაეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი) საჯაროდ გაიყიდება ქვემოდ აღნიშნულ პირთა ის უძრავი მამულები, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული, რადგან პატრონთ არ შეუტანიათ ბანკის წესდების 12, 17, 27 28 და 36 §§-ით დაწესებული გადასახადები 1907 წლის 1-ლ ივლისიდან 1908 წლის პირველ იანვრამდე.

საჯარო ვაჭრობა მოხდება: 1) ქალაქის მამულებზე, რომელიც ტფილისის ქალაქშია, 28 დეკემბერს; 2) რომელიც სავა ქალაქებშია, აგრეთვე სხვა ადგილებში, სადაც მაუულები იგირავება გრძელ ვადით, როგორც ქალაქის მაჟულები, 2 იანვარს 1908 წელს; 3) სოფლის ყველა მამულებზე, 4 იანვარს, 1908 წელს.

თუ აღნიშნულ დღეებში ვაჭრობა არ მოხდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ბანკის წესდების მე-20 § ის ძალით, მოხდება იმავე გამგეობაში 1908 წ. 18 იანვარს.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 § ის ძალით, დაიწყება ძირითად ვალის იმ დარჩენილ ჯამებიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული ქვემოდ აღნიშნულ ბანკის გადასახადის ნედოიმკებისა და აგრეთვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების და მათ ნედოიმკების დაძატებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვისაც სურს შეისყიდოს ის მამულები, რომელზედაც გრძელ ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე ის მამულები, რომელზედაც თუმცა მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული, მაგრამ ვალის გადახდის ვადა არ შესრულებულა, მოვალეა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე; ბე იმდენი უნდა იქნეს, რამდენიც ბანკს გადასახადების ნედოიმკა, აგრეთვე რამდენიც სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების ნედოიმკები იქნება ვაჭრობის დღემდე გასასყიდ მამულზე. ხოლო ვისაც იმ მამულების შესყიდვა ჰსურს, რომლებზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე დადგა, მოვალეა წარმოადგინეს ბედ გარდა ზემოდ აღნიშნულისა კიდევ 10 ჭროც. თავდაპირველის თავნის ვალისა.

დამტკიცების ხარჯი და ის ზედ მეტი ფული, რომელიც ვაჭრობაზე შეაძლიეს ბანკს, მყიდველმა უნდა წარმოადგინოს 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავნი ვალი იმ მამულებზე, რომლებშიაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე იმ მამულებზე, რომელშიაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი და ვადაც არ გასვლია, მყიდველს შეუძლიან თავის თავზე გადაიტანოს წინანდელ პატრონის ყველა ვალდებულებებით; ხოლო იმ მამულებზე, რომელზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე გაუთავდა, დარჩენილი თავნი ვალი სრულიად უნდა იქმნას გადახდილი ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, პატრონს შეუძლია შემოიტანოს ნედოიმკები ვაჭრობის დღემდე და ამ რიგად გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია გაიცნოს ყველა საქმეები გასასყიდ მამულების შესახებ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა.

ამასთანავე ბანკი წინდაწინვე უცხადებს მამულების მყიდველთ, რომ ბანკი პასუხს არ აგებს, თუ დაგირავებულ გასასყიდ მამულების აღწერა არ ეთანხმება მამულების დღევანდელ მდგომარეობას.

ქალაქის მამულები,

(საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 28 დეკემბერს 1907 წ.)

ტფილისის გუბერნია

ქალაქ ტფილისის მამულები.

ბოჟეკი გეორგი ივანეს ძე: შენობები და მიწა, ზომით 49 ოთხკ. საჟ.; მე-9 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე.

თავნი ვალი 3937 მან. 85 კ. ნედოიმკა 160 მ. 27 კ., სულ 4098 მ. 12 კ.

ბოჟეკი გეორგი ივანეს ძე: მიწა ზომით 1966 ოთხკ. საჟ.; მე-7 ნაწილში, კახეთის ქუჩაზე.

თავნი ვალი 5545 მ. 79 კ.; ნედოიმკა 224 მ. 68 კ., სულ 5770 მ. 47 კ.

ბოჟეკი გეორგი ოგანეზას ძე: შენობები და მიწა, ზომით დაახლოვებით 841,5 ოთხკ. საჟ., მე-8 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზე.

თავნი ვალი 110.915 მ. 75 კ., ნედოიმკა 9826 კ. 34 კ., სულ 120,742 მ. 09 კ.

ბოჟეკი გეორგ ოგანეზას ძე (იგივე ივანეს ძე): მიწა ზომით 3337,3 ოთხკ. საჟ., 1-ლ ნაწილში, მოსკოვის ქუჩის ზემოთ, უსახელო მთის ქედზე.

თავნი ვალი 2218 მ. 30 კ., ნედოიმკა 107 მ. 62 კ., სულ 2325 მ. 92 კ.

ბრაგმოვი მოსე საველის ძე: შენობები და მიწა, ზომით დაახლოვებით 177 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, ავჭალის ქუჩის გასწვრივ, რკინის გზის სადგურის პირდაპირ.

თავნი ვალი 10810 მ. 02 კ., ნედოიმკა 653 მ. 60 კ., სულ 11463 მან. 62 კ.ბ.

ბრაგმოვი სერგო ვოსკანის ძე: შენობები და მიწა, ზომით 490 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე.

თავნი ვალი 51718 მ. 42 კ., ნედოიმკა 1596 მ. 30 კ., სულ 53314 მ. 72 კ.

ბუდაძე ნინა ქრისტეფორეს ასული: შენობა მიწით, ზომით 90 ოთხკ. საჟ., მე-9 ნაწილში, მიხაილოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 23,704 მ. 45 კ., ნედოიმკა 669 მ. 80 კ., სულ 24474 მ. 25 კ.

ეგუტიშოვისა ევგენია ვასილის ასული: შენობა მიწით, დაახლოვებით 300 ოთხკ. საჟ., მე 6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 2299 მ. 56 კ., ნედოიმკა 134 მ. 48 კ., სულ 2434 მ. 04 კ.

ეგუტისოვი არტემ ოვაკიმოვიჩი: შენობა მიწით, ზომით 196 ოთხკ. საჟ., მე-6 ნაწილში სუმბათოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 16456 მ. 68 კ., ნედოიმკა 1189 მ. 27 კ., სულ 17 645 მან. 95 კ.ბ.

ალადაროვისა კინჩიკ ხანუმა ბახტიერ-ბეკ კიზი და მურსალულოვისა ჯაკან ხანუმა აბას-ყული-ბეკ: შენობა მიწით, ზომით 296 ოთხკ. საჟ. და 5 ოთხკ. არშ., მე-6 ნაწილში, სეით აბადის ალმარიზე და ყრუ მისახეკვში.

თავნი ვალი 5117 მ. 78 კ., ნედოიმკა 349 მ. 93 კ., სულ 5467 მ. 71 კ.